საქართველო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

N 4
27/01/2017

4-07-4-201701271808

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №4

2017 წლის 27 იანვარი

ქ. ლანჩხუთი

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკომიგრანტების 2017-2021 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად,

**მუხლი 1.** დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, ეკომიგრანტების 2017-2021 წლების სტრატეგია დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი" მე-8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მეხიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

საკრებულოს ბიურო

# ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, ეკომიგრანტების 2017-2021 წლების სტრატეგია

ლანჩხუთი 2017 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ეკომიგრანტების საშუალო ვადიანი მუნიციპალური სტრატეგიული გეგმა შემუშავდა ა(ა)იპ „დემოკრატიის ინსტიტუტის" ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტ „ეკომიგრანტი და პოტენციური ეკომიგრანტი ოჯახების ადვოკატირების კომპანია"-ს ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური სახსრებით.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან თანამშრომლობით.

პასუხისმგებელი: დავით გოგიჩაიშვილი

გეგმაზე მუშაობდნენ: დავით გოგიჩაიშვილი-ლხც

ზვიად ნაკაიძე-ლხც

ლია ნიკოლაიშვილი-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის სპეციალისტი

ზურაბ გოგორიშვილი-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტი

იოსებ გოგიჩაიშვილი-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ლესის ტერიტორიულ ერთეულში,

ქეთევან ჯორბენაძე-ბენეფიციარი სოფ. ჭყონაგორა

ნინო თათილაშვილი-ბენეფიციარი სოფ. ჭინათი

პროექტს ახორციელებენ და აფინანსებენ:

1. წინასიტყვაობა------------------------------------------------------------------------------4 გვ.

2. შესავალი------------------------------------------------------------------------------4 გვ.

3. პროფილი------------------------------------------------------------------------------5 გვ.

4. ძლიერი და სუსტი მხარეების, (SWOT) ანალიზი----------------------------------------------6 გვ.

5. ხედვა 2021 წლისთვის-----------------------------------------------------------------------6 გვ.

6. სტრატეგიული მიმართულებები და ამოცანები----------------------------------------------6 გვ.

6.1 საგანგებო სიტუაციების მართვის გაუმჯობესება---------------------------------------------6 გვ.

6.1.1 თავშესაფრის მოწყობა ეკომიგრანტთა გადაუდებელი საჭიროებისათვის------------------6 გვ.

6.1.2 წინასწარი შეტყობინების სისტემის დაყენება მდინარე აკაურაზე, მდ. შუთაზე, მდინარე ლეკისწყალსა და მდ. ლესისწყალზე------------------------------------------------6 გვ.

6.1.3 ტექნიკური და ორგანიზაციული ტიპის რეკომენდაციების მომზადება და ბენეფიციართათვის გაცნობა--------------------------------------------------------------6 გვ.

6.2 კომუნალური ინფრასტრუქტურისა და მომსახურების განვითარება---------------------7 გვ.

6.2.1 ნაპირსამაგრი სამუშაოები მდინარეებზე------------------------------------------------7 გვ.

6.2.2 მეწყერსაშიში ზონების გეოლოგიური კვლევა-------------------------------------------7 გვ.

6.2.3 სანიაღვრე არხების წყალგამტარიანობის გაზრდა---------------------------------------7 გვ.

6.3 ეკოსისტემის აღდგენის ღონისძიებები, გარემოსდაცვითი საქმიანობა--------------------7 გვ.

6.3.1 მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის ქმედითი სისტემის დანერგვა, ნარჩენების გატანის უზრუნველყოფა და სანიტარული ნაგავსაყრელების გაუქმება----------7 გვ.

6.3.2 მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება---------------------------------7 გვ.

6.3.3 ეკოსისტემის აღდგენის ღონისძიებები------------------------------------------------7 გვ.

## 1. წინასიტყვაობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, ეკომიგრანტების და შესაძლო ეკომიგრანტების წინამდებარე სტრატეგიული გეგმა მომზადებული იქნა ლანჩხუთის საინფორმაციო ცენტრის მიერ ჩამოყალიბებული სამუშაო ჯგუფის მიერ, ა(ა)იპ „დემოკრატიის ინსტიტუტის"ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტ „ეკომიგრანტი და პოტენციური ეკომიგრანტი ოჯახების ადვოკატირების კომპანია"-ს ფარგლებში. აღნიშნული პროექტის ზოგადი მიზანია, სამოქალაქო საზოგადოების, ბენეფიციარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთობლივი ძალისხმევით ხელი შეუწყოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეკომიგრანტებისა და შესაძლო ეკომიგრანტების საცხოვრებელი, ადგილობრივ თემთან ინტეგრაციის, სოციალ - ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას საშუალო ვადიან პერსპექტივაში.
გეგმის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდა სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ლია ნიკოლაიშვილი-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის სპეციალისტი, ზურაბ გოგორიშვილი-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტი, იოსებ გოგიჩაიშვილი-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ლესის ტერიტორიულ ერთეულში, ქეთევან ჯორბენაძე-ბენეფიციარი სოფ. ჭყონაგორა, ნინო თათისაშვილი-ბენეფიციარი სოფ. ჩიბათი.

სამუშაო ჯგუფი დიდ მადლობას მოახსენებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლებს, წინამდებარე გეგმის შემუშავების პროცესში აღმოჩენილი მხარდაჭერისათვის, ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის და აქტიური მონაწილეობისათვის.

## 2. შესავალი

საქართველოში, გურიის რეგიონის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებით და მოსახლეობის (სტიქიით დაზარალებული) მონაწილეობით შემდგარმა სამუშაო ჯგუფმა წინამდებარე გეგმის ჩამოყალიბება 2016 წლის სექტემბერში დაიწყო ა(ა)იპ ლანჩხუთის საინფორმაციო ცენტრის მხარდაჭერით.

თავდაპირველად ჩატარდა ტრენინგი სამუშაო ჯგუფის წევრებისთვის სტრატეგიული დაგეგმვის უნარების განვითარებისთვის, რასაც თანმიმდევრულად მოყვა რვა სამუშაო შეხვედრა რომელთა მსვლელობისას და ასევე მიღებული დავალებების შესრულების შედეგად ჩამოყალიბდა წინამდებარე გეგმის ძირითადი შემადგენელი ნაწილები (swot ანალიზი, ხედვა, სტრატეგიული მიმართულებები). მომზადდა თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული, ეკომიგრანტთა და შესაძლო ეკომიგრანტთა ინფორმაციის წარმოებისა და მართვის პროგრამა. პროგრამის მისამზადებლად გამოყენებული იქნა კრიტერიუმები რომლებიც ასახულია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის ბრძანება #779-ში.

## 3. პროფილი

ეკომიგრანტების და პოტენციური ეკომიგრანტების პრობლემა საქართველოში ყოველთვის არსებობდა. განსაკუთრებით მძაფრად არის გამოხატული ეს პრობლემა თანამედროვე პერიოდისთვის. კონკრეტულად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, 9000-მდე მოქმედი ოჯახია, ამათგან 800-მდე ოჯახის საცხოვრისი ისეთი გაუსაძლისია, რომ ეს ოჯახები დაუყოვნებლივ განსახლებას უნდა დაექვემდებარონ. აქ იგულისხმება მთის სოფლების დამეწყრილი ზონებისა და მდინარეების სანაპიროს გასწვრივ მცხოვრები ოჯახების სახლებისა და კარმიდამოს წარეცხვა-დამეწყვრა. გარდა ამ ოჯახებისა, რომელთა შესახებაც არსებობს გარკვეული ინფორმაცია, ბოლო პერიოდში მეწყერსაშიში ზონების გაზრდილი რაოდენობის გამო, მკვეთრად გაიზარდა შესაძლო ეკომიგრანტების რაოდენობა.

დღეისათვის საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს რაიმე აქტს, რომელიც დაარეგულირებდა ეკომიგრაციის პროცესს და იმპერატიულად შეუწყობდა ხელს მოსახლეობის ამ უკიდურესად მოწყვლადი ჯგუფის სასიცოცხლო ინტერესების დაცვას. ორგანული კანონის თანახმად (მე-16 მუხლის მესამე პუნქტი), მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტა საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება. სწორედ აქედან გამომდინარე, ეკომიგრანტთა და შესაძლო ეკომიგრანტთა პრობლემების მოგვარება, პოლიტიკური ნების შემთხვევაში, სავსებით შეიძლება აიღოს თავის თავზე ადგილობრივმა თვითმმართველობამ. რეალობა ისაა, რომ ადგილობრივ ბიუჯეტებში გათვალისწინებულია მხოლოდ სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის ბინის ქირავნობის პროგრამა და სარეზერვო ფონდი, რომელიც ასევე სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციოდ არის ჩამოყალიბებული და მხოლოდ გამონაკლის, დაუგეგმავ, იშვიათ შემთხვევებში მიიმართება ხოლმე ეკოლოგიური პრობლემების მქონე ოჯახების დასახმარებლად (5 წლის მანძილზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ეკომიგრანტებისთვის სახლის შეძენის მხოლოდ 2 შემთხვევა).

გურიის რეგიონის მდგრადი და გეგმაზომიერი განვითარების უზრუნველსაყოფად საქართველოს მთავრობის მიერ 2013 წლის 17 სექტემბრის N1363 განკარგულებით დამტკიცდა „გურიის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის". ისევე როგორც გურიის რეგიონს, რეგიონის მუნიციპალიტეტებს აქვთ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმები. ეს გეგმები დამტკიცებულია ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების, საკრებულოების მიერ. კონკრეტულად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული გეგმა შემუშავდა ევროკავშირისა და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, ასევე საქართველოს თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ხელშეწყობით და დამტკიცდა 2010 წელს საკრებულოს განკარგულებით. ამ გეგმებში ეკომიგრანტების კომპონენტი საერთოდ არაა ასახული, არც მიმართულების, არც სტრატეგიული ამოცანების და არც პროექტების სახით.

საბოლოოდ იკვეთება შემდეგი ძირითადი პრობლემები:

- მუნიციპალიტეტებს არ აქვთ ჩამოყალიბებული, სამომავლო ხედვა, საშუალო ან გრძელვადიანი სტრატეგიული მიდგომა ეკომიგრანტებისა და შესაძლო ეკომიგრანტების პრობლემების აღმოსაფხვრელად;
- არ არსებობს ეკომიგრანტთა ან პოტენციურ ეკომიგრანტთა მუნიციპალური მონაცემთა ბაზა, სადაც აღრიცხული იქნება ეკომიგრანტებისა და პოტენციური ეკომიგრანტების ოჯახები,

კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით. ამ ბაზის ანალიზის შესაბამისად შესაძლებელი გახდებოდა მუნიციპალური პროგრამებისა და მიმართულებების ჩამოყალიბება და ამ ადამიანებისთვის დახმარების გაწევა.

## 4. ძლიერი და სუსტი მხარეების, (SWOT) ანალიზი

| ძლიერი მხარეები | სუსტი მხარეები |
| --- | --- |
| • მუნიციპალიტეტში ეკომიგრანტების საშუალო ვადიანი მუნიციპალური სტრატეგიული გეგმა<br>• ადამიანური რესურსები (განათლების მაღალი დონით)<br>• კარგად აღჭურვილი და პროფესიონალებით დაკომპლექტებული სამუშაო სამსახური<br>• მიტოვებული მუნიციპალური საცხოვრებლები<br>• მჭიდრო თანამშრომლობა შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან | • მეწყერსაშიში ზონების გაზრდილი რაოდენობა<br>• პატარა მეურნეობების სიმრავლე, რომლებიც ვერ ნაკვეთის შემოსავლები ძალიან დაბალია<br>• მდინარის ნაპირების ეროზია გზების გასწვრივ სანიაღვრე არხების არასაკმარისი გამტარუნარიანობა<br>• გაზიფიცირების ქსელის არარსებობა<br>• საცხოვრებელი სახლები ცუდ მდგომარეობაშია ან საერთოდ არ არსებობს<br>• მძიმე სოციალური ფონი |

## 5. ხედვა 2021 წლისთვის

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შემცირებულია შესაძლო ეკომიგრანტთა რაოდენობა 80%-ით იმის გამო, რომ გამოკვლეულია და განხორციელებულია პრევენციული ღონისძიებები მეწყერსაშიშ და წყალდიდობა საშიშ ადგილებში. ადრეული შეტყობინებების სისტემები შესაძლებლობას იძლევა დროულად მოხდეს მოსახლეობის ევაკუაცია კეთილმოწყობილ დროებით თავშესაფარში. შესაძლო ეკომიგრანტები გაცნობილნი არიან ექსპერტების მიერ მომზადებულ ტექნიკური და ორგანიზაციული ტიპის რეკომენდაციებსა და საევაკუაციო რუკებს. მუნიციპალიტეტი ფლობს თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ ეკომიგრანტთა და შესაძლო ეკომიგრანტთა ინფორმაციის წარმოებისა და მართვის შესაძლებლობებს.

## 6. სტრატეგიული მიმართულებები და ამოცანები

### 6.1. საგანგებო სიტუაციების მართვის გაუმჯობესება

6.1.1. წინასწარი შეტყობინების სისტემის დანერგვა მდინარე სუფსაზე, მდ. შუთზე, მდინარე ლესინჭალეზე და მდ. ლესინჭალეზე

6.1.2. ტექნიკური და ორგანიზაციული ტიპის რეკომენდაციების მომზადება და ხელმძღვანელობისთვის გაცნობა

### 6.2. კომუნალური ინფრასტრუქტურისა და მომსახურების განვითარება

- 6.2.1. თავშესაფრის მოწყობა უსახლკაროთათვის გადაუდებელი საჭიროებისათვის
- 6.2.2. ნაპირსამაგრი სამუშაოები მდინარეებზე
- 6.2.3. მეწყერსაშიში ზონების გეოლოგიური კვლევა
- 6.2.4. სასოფლო არხების წყალგამტარიანობის გაზრდა

### 6.3. ეკოსისტემის აღდგენის ღონისძიებები, გარემოსდაცვითი საქმიანობა

- 6.3.1. მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის ქმედითი სისტემის დანერგვა, ნარჩენების გატანის უზრუნველყოფა და სანიტარული ნაგავსაყრელების გაუქმება
- 6.3.2. მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება
- 6.3.3. ეკოსისტემის აღდგენის ღონისძიებები

## 6.1 საგანგებო სიტუაციების მართვის გაუმჯობესება

| N | პროექტის დასახელება | ადგილმდებარეობა | სტრატეგიის ამოცანა | მოსალოდნელი შედეგი | სავარაუდო ბიუჯეტი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | წინასწარი შეტყობინების სისტემის დაყენება მდინარე [illegible] | აცანა | საგანგებო სიტუაციების მართვის გაუმჯობესება | კარდინალურად გაუმჯობესებულია საგანგებო სიტუაციების მართვა და თავიდან არის აცილებული სავალალო შედეგები წყალდიდობების დროს | 10 000 |
| 2 | წინასწარი შეტყობინების სისტემის დაყენება მდინარე [illegible] | ჩოჩხათი | საგანგებო სიტუაციების მართვის გაუმჯობესება | კარდინალურად გაუმჯობესებულია საგანგებო სიტუაციების მართვა და თავიდან არის აცილებული სავალალო შედეგები წყალდიდობების დროს | 10 000 |
| 3 | წინასწარი შეტყობინების სისტემის დაყენება მდინარე გუბაზეულზე | ჯურუყვეთი | საგანგებო სიტუაციების მართვის გაუმჯობესება | კარდინალურად გაუმჯობესებულია საგანგებო სიტუაციების მართვა და თავიდან არის აცილებული სავალალო შედეგები წყალდიდობების დროს | 10 000 |
| 4 | წინასწარი შეტყობინების სისტემის დაყენება მდინარე ლესისწყალზე | ლესა | საგანგებო სიტუაციების მართვის გაუმჯობესება | კარდინალურად გაუმჯობესებულია საგანგებო სიტუაციების მართვა და თავიდან არის აცილებული სავალალო შედეგები წყალდიდობების დროს | 10 000 |
| 5 | ბროშურების მომზადება და გავრცელება მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების გაფართოებული რუკებით და მეწყერსაშიში თუ უსაფრთხო ადგილების ჩვენებით | ლანჩხუთი | სავარაუდო კატასტროფების ცნობიერების ამაღლება და მზადება საგანგებო მდგომარეობისათვის | სავარაუდო კატასტროფების დროს არიან გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული და ტექნიკური ტიპის რეკომენდაციები და გაცნობილნი არიან საევაკუაციო გეგმებს, შესაბამისად მაქსიმალურად შემცირებული სავალალო შედეგების დადგომის რისკები | 30 000 |
| 6 | ტექნიკური და ინფრასტრუქტურული ტიპის რეკომენდაციების მომზადება და მოსახლეობისთვის გაცნობა | ლანჩხუთი | სავარაუდო კატასტროფების ცნობიერების ამაღლება და მზადება საგანგებო მდგომარეობისათვის | სავარაუდო კატასტროფების დროს არიან გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული და ტექნიკური ტიპის რეკომენდაციები და გაცნობილნი არიან საევაკუაციო გეგმებს, შესაბამისად მაქსიმალურად შემცირებული სავალალო შედეგების დადგომის რისკები | 20 000 |

## 6.2 კომუნალური ინფრასტრუქტურისა და მომსახურების განვითარება

| N | პროექტის დასახელება | ადგილმდებარეობა | სტრატეგიის ამოცანა | მოსალოდნელი შედეგი | საორიენტაციო ბიუჯეტი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | დროებითითავშესაფრის მოწყობა | ქ. ლანჩხუთი | თავშესაფრის მოწყობა უკიდურესად გადაუდებელი საჭიროებისათვის | [illegible] 10 ოთახი | 255 000 |
| 2 | გაბიონების მოწყობა მდინარე აცანაზე | აცანა | ნაპირსამაგრი სამუშაოები მდინარეებზე | კომპლექსურად გაუმჯობესებულია საგანგებო სიტუაციების მართვა და თავიდან არის აცილებული სავალალო შედეგები წყალდიდობების დროს | 100 000 |
| 3 | გაბიონების მოწყობა მდინარე სუფსაზე | ჩოჩხათი | ნაპირსამაგრი სამუშაოები მდინარეებზე | კომპლექსურად გაუმჯობესებულია საგანგებო სიტუაციების მართვა და თავიდან არის აცილებული სავალალო შედეგები წყალდიდობების დროს | 100 000 |
| 4 | გაბიონების მოწყობა მდინარე ღელისწყალზე | ჯურუყვეთი | ნაპირსამაგრი სამუშაოები მდინარეებზე | კომპლექსურად გაუმჯობესებულია საგანგებო სიტუაციების მართვა და თავიდან არის აცილებული სავალალო შედეგები წყალდიდობების დროს | 100 000 |
| 5 | გაბიონების მოწყობა მდინარე ლესისწყალზე | ლესა | ნაპირსამაგრი სამუშაოები მდინარეებზე | კომპლექსურად გაუმჯობესებულია საგანგებო სიტუაციების მართვა და თავიდან არის აცილებული სავალალო შედეგები წყალდიდობების დროს | 100 000 |
| 6 | მეწყერსაშიში ზონების გეოლოგიური კვლევა | ლანჩხუთი | მეწყერსაშიში ზონების გეოლოგიური კვლევა | | 100 000 |
| 7 | ლოკალურად, დატბორვის საშიშ ადგილებზე [illegible] და ცხაურების მოწყობა (ჯამში 10 კმ.) | ლანჩხუთი | სანიაღვრე არხების წყლოგამტარიანობის ზრდა | ჭარბი ნალექის დროს შემცირდება რისკი ქუჩების დატბორვის | 100 000 |

6.3 ეკოსისტემის აღდგენის ღონისძიებები, გარემოსდაცვითი საქმიანობა

| N | პროექტის დასახელება | ადგილმდებარეობა | სტრატეგიის ამოცანა | მოსალოდნელი შედეგი | სავარაუდო ბიუჯეტი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის ქმედითი სისტემის დანერგვა, ნარჩენების გატანის უწყვეტობა და სანიტარული ნაგავსაყრელების გაუქმება | ლენტეხი | მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის ქმედითი სისტემის დანერგვა, ნარჩენების გატანის უწყვეტობა და სანიტარული ნაგავსაყრელების გაუქმება | გაუქმდება სანიტარული ნაგავსაყრელები, მოსახლეობის მეტი ნაწილი მიიღებს მუნიციპალურ მომსახურებას, შემცირდება მეწყერსაშიშ ადგილებში ნიადაგის ეროზია | 100 000 |
| 2 | მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება | ლენტეხი | მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება | მოსახლეობას აქვს მეტი ინფორმაცია და მონაწილეობა შემცირებულია რისკები ეკოსისტემების მომსახურებაში | 100 000 |
| 3 | ეკოსისტემის აღდგენის ღონისძიებები | ლენტეხი | ეკოსისტემის აღდგენის ღონისძიებები | ნიადაგის ეროზიის და ეკოსისტემების რისკები არის შემცირებული | 100 000 |